სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/36

ქ. თბილისი 28 მარტი 2024 წ.

ასოცირებულ პროფესორ თამარ წერეთლისთვის აკადემიური საბჭოს წევრის

უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის და 38-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკადემიური საბჭოს წევრის ასოც. პროფესორ თამარ წერეთლის განცხადების და აკადემიური საბჭოს 2024 წლის 28 მარტის №01-05-02/10 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრს, სტუ-ს ენერგეტიკის ფაკულტეტის ასოც. პროფესორ თამარ წერეთელს პირადი განცხადების საფუძველზე, შეუწყდეს აკადემიური საბჭოს წევრის უფლებამოსილება, სტუ-ის ვიცე-რექტორის თანამდებობაზე დანიშვნის გამო.
2. დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**